გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

3 იანვარი 2008 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ბესიკ სისვაძე

განმცხადებელი: შპს „გეოთი";
წარმომადგენელი: გივი მაზანიშვილი (დირექტორი);
მოთხოვნა: გადახდისუუნარობის საფუძვლით გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა;

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2007 წლის 28 დეკემბერს განცხადებით მიმართა შპს „გეოთი"-ს დირექტორმა გივი მაზანიშვილმა და ითხოვა საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა გადახდისუუნარობის საფუძვლით.

განმცხადებლის განმარტებით, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 ოქტომბრის გადახდის ბრძანებით შპს „გეოთი"-ს დაეკისრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სასარგებლოდ 366311 (სამასსამოცდაექვსი ათას სამასთერთმეტი) ლარის გადახდა. 2007 წლის 3 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით სააღსრულებო წარმოების პროცესში მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება და შპს „გეოთი"-მ იკისრა ვალდებულება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ არსებული ვალის დაფარვის მიზნით სახელმწიფოსათვის უძრავ-მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ამასთან, შპს „გეოთი"-მ სახელმწიფოს წინაშე აიღო ვალდებულება, რომ დარჩენილ ვალს – 41098 (ორმოცდაერთი ათას

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

3 იანვარი 2008 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო
საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ბესიკ სისვაძე

განმცხადებელი: შპს „გეოთი";
წარმომადგენელი: გივი მაზანიშვილი (დირექტორი);
მოთხოვნა: გადახდისუუნარობის საფუძვლით გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა;

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2007 წლის 28 დეკემბერს განცხადებით მიმართა შპს „გეოთი"-ს დირექტორმა გივი მაზანიშვილმა და ითხოვა საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნა გადახდისუუნარობის საფუძვლით.

განმცხადებლის განმარტებით, ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 26 ოქტომბრის გადახდის ბრძანებით შპს „გეოთი"-ს დაეკისრა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სასარგებლოდ 366311 (სამასსამოცდაექვსი ათას სამასთერთმეტი) ლარის გადახდა. 2007 წლის 3 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით სააღსრულებო წარმოების პროცესში მხარეთა შორის დამტკიცდა მორიგება და შპს „გეოთი"-მ იკისრა ვალდებულება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ არსებული ვალის დაფარვის მიზნით სახელმწიფოსათვის უძრავ-მოძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. ამასთან, შპს „გეოთი"-მ სახელმწიფოს წინაშე აიღო ვალდებულება, რომ დარჩენილ ვალს – 41098 (ორმოცდაერთი ათას

ოთხმოცდათვრამეტი) ლარს და 48 (ორმოცდარვა) თეთრს გადაიხდიდა 2007 წლის 31 დეკემბრამდე. შპს „გეოთი"-ს დირექტორის მტკიცებით, საზოგადოებამ გადასცა მის საკუთრებაში არსებული მთელი უძრავ-მოძრავი ქონება სახელმწიფოს, რის გამოც საწარმოს დღეისათვის აღარ გააჩნია რაიმე სახის მატერიალური ქონება, მათ შორის ფულადი სახსრები. აღნიშნულიდან გამომდინარე განმცხადებელი განმარტავს, რომ საწარმო მოკლებულია შესაძლებლობას შეასრულოს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი 41098 (ორმოცდაერთი ათას ოთხმოცდათვრამეტი) ლარის და 48 (ორმოცდარვა) თეთრის გადახდის ვალდებულება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სახეზეა საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის საფუძველი – მოვალის გადახდისუუნარობა და „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 და მე-17 მუხლებზე მითითებით ითხოვს შპს „გეოთი"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნას.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი განცხადება, შეისწავლა მასზე თანდართული დოკუმენტები და მიიჩნია, რომ შპს „გეოთი"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განცხადება არ უნდა იქნეს მიღებული სასამართლო წარმოებაში შემდეგ გარემოებათა არსებობის გამო:

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის არსებობა განპირობებულია გარკვეული მიზნის მიღწევის აუცილებლობით. კანონის მიზანს წარმოადგენს მოვალისა და კრედიტორის (კრედიტორების) ინტერესების თანაზომიერი დაცვა, შესაძლებლობების შემთხვევაში მოვალის ფინანსური სიძნელეების გადაჭრა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება ან ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება (იხ. „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლი). თავისთავად კანონის მიზნის განხორციელება დამოკიდებულია საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და ასეთი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გადახდისუუნარო საწარმოს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება, თუ რა თქმაუნდა მიღწეული იქნება გაკოტრებისათვის კანონით განსაზღვრული ისეთი მიზნის მიღწევა, როგორიცაა მოვალის ქონების რეალიზაციით მიღებული თანხებით კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. მოცემულ შემთხვევაში ცალსახად დადგენილია, რომ შპს „გეოთი"-ს საერთოდ არ გააჩნია ქონება და ფულადი სახსრები, რაც იმთავითვე გამორიცხავს ქონების

რეალიზაციის და კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნებისმიერი დანაწესი (ნორმა) გამომდინარეობს კანონის მიზნიდან და მოწოდებულია მისი განხორციელება-აღსრულებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე მხოლოდ ის გარემოება, რომ კანონი ითვალისწინებს გადახდისუუნარო მოვალის მიერ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობას, ვერ იქნება საკმარისი ასეთი წარმოების დაწყებისათვის, თუ იმთავითვე აშკარაა, რომ მოვალის ფინანსური მდგომარეობა გამორიცხავს გაკოტრების მიზნის მიღწევას. ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს „გეოთი“-ს დირექტორის განცხადება არ უნდა იქნეს მიღებული წარმოებაში და აღნიშნული საწარმოს დავალიანება კრედიტორის მიმართ განხილული უნდა იქნეს, როგორც უიმედო (აღუსრულებელი) ვალდებულება. შპს „გეოთი“ მიჩნეული უნდა იქნეს ქმედუუნარო იურიდიულ პირად, რაც განაპირობებს შპს „გეოთი“-ს, როგორც სამართალსუბიექტის არსებობის მიზანშეუწონლობას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი, მე-7, მე-8 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. გადახდისუუნარობის საფუძვლით გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე შპს „გეოთი“-ს განცხადება არ იქნეს მიღებული სასამართლო წარმოებაში;
2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში კერძო საჩივრის შეტანის გზით განჩინების ასლის განმცხადებლისათვის გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

მოსამართლე: /ბესიკ სისვაძე/